



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულის განკარგულება №12/31

2017 წლის 27 აპრილი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის რეგისტრაციის მოწმობების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებები MERCEDES-BENZ, მოდელი ATEGO 1018 (რეგისტრაციის ნომერი AA297AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB97004210122339) და MERCEDES-BENZ, მოდელი AXOR 1824 (რეგისტრაციის ნომერი AA298AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი NMB95050112181273) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შპს „ინფრასტრუქტურა 2008-ის“ დირექტორმა 2017 წლის 18 აპრილის №82 წერილით მიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთხსენებული სატრანსპორტო საშუალებების თხოვების ფორმით შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ სარგებლობაში გადაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების: MERCEDES-BENZ, მოდელი ATEGO 1018 (რეგისტრაციის ნომერი AA297AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB97004210122339) და MERCEDES-BENZ, მოდელი AXOR 1824 (რეგისტრაციის ნომერი AA298AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი NMB95050112181273)-ის შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული

წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების: MERCEDES-BENZ, მოდელი ATEGO 1018 (რეგისტრაციის ნომერი AA297AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB97004210122339) და MERCEDES-BENZ, მოდელი AXOR 1824 (რეგისტრაციის ნომერი AA298AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი NMB95050112181273) - ის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 100-პროცენტის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი შპს „ინფრასტრუქტურა 2008-სათვის“ თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები MERCEDES-BENZ, მოდელი ATEGO 1018 (რეგისტრაციის ნომერი AA297AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB97004210122339) და MERCEDES-BENZ, მოდელი AXOR 1824 (რეგისტრაციის ნომერი AA298AT, ტიპი - სპეციალიზებული, გამოშვების წელი - 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი NMB95050112181273) თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს შპს „ინფრასტრუქტურა 2008-ს“ (ს/კ 215148695).

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 27 აპრილიდან.